

სანდ შანი, ქსიანებური ლიუ
(ჩინეთი)

ყაზახური სიტიზმის პიფონიური მოწყოლობისა და მექანიზმი

სიტიზგი არის ყაზახური ჩასაბერი საკრავი, რომლის კვინტესენციური მუსიკალური მოწყოლობია მდგომარეობს ერთდროულად ბიფონურ (ორი ხმით) და ყელისმიერ, როგორც მისი ძირითადი ხმით, სიმღერაში. ტრადიციული სიტიზგი ტრადიციულად ლერწმისგან ან ხისგან მზადდება, თუმცა მასალის განვითარების შედეგად სპილენძისა და პოლივინილიქლორიდის გამოყენებაც ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. ითვლება, რომ ბუნებასთან მჭიდრო კავშირში მყოფი ეს საკრავი გამოხატავს ნაკადულის ჩუქჩუხს, ცხენის ჭენებას, აქლემის ზმუილს, და სხვა. მასზე ხშირია სილო შესრულება, თუმცა ზოგჯერ — სიმებიან დომბრასა და კობიზთან ერთადაც უკრავენ. უნიკალური უძერადობისა და მდიდარი ექსპრესიულობის გამო ყაზახები მას „გულის ფლეიტას“ უწოდებენ. მსგავსი ბიფონური ჩასაბერი საკრავები არც თუ იმურიათია ცენტრალური აზიის სტეპებში — მონდოლეთში, ტუვაში, ყირგიზეთში, ალტაისა და ბაშკირეთში. აფხაზეთში (საქართველო), ისტორიულად ტრადიციული საკრავი აჭარპანი ძალიან გავს სიტიზგის კონსტრუქციის, ხმოვანებისა და გამოყენების თვალსაზრისით (Khardziani, 2015:17). ნაშრომის მიზანია არა ამ მგავსი საკრავების შედარებით კვლევა, არამედ ბიფონური საკრავების „ბგერითი მგრძნობელობის“ შესწავლა ნიმუშების მაგალითზე. თუ ყაზახურ სიტიზგის გამოვიყენებთ როგორც მაგალითს, ბიფონური მოწყოლობისა და მისი მექანიზმის კვლევა ანალიზი საკრავზე დაკვრის შესწავლის საფუძველზე განხორციელდება.

სახელის განმარტება

სიტიზგის კვინტესენციური ბიფონიის მოწყოლობია არა მხოლოდ მის ულერადობაში, არამედ მისი სახელის ეტიმოლოგიაშიც არის გამოხატული. ამ ტერმინების ინტერპრეტაცია ხელს უწყობს მათი თავისებურებების სრულყოფილად გაგებას.

ყაზახი თარჯიმინის ხაპარ ერბოლის დახმარებით შეგროვდა და გამოკვლეული იქნა სიტიზგის დასახელებები და რეპერტუარი. ყაზახური მუსიკალურობა ნანილობრივ იდიომების ლინგვისტურ აზრსა და ეტიმოლოგიაში ვლინდება. როგორც ხაპარი ამბობს, „უძერელეს დროში, სიტყვა სიტიზგი აღნიშნავდა მაღალი და დაბალი ხმების კომბინაციას. სხვადასხვა აბიექტების ხმოვანებაზე დაფუძნებული სიტიზგი ორნაირია: კურაი-სიტიზგი და კომეკე-სიტიზგი. ვინაიდან სულ უფრო და უფრო ნაკლებ ადამიანს შეუძლია კომუკების (ყელისმიერი) დაკვრა, ლერწმის (კურაი) ხდება სიტიზგის ზოგადი ტერმინი“. ეს ტერმინოლოგია და ეტიმოლოგია პარალელურია მონღლოური სიტყვისა „ჩორო“, რომელიც აღნიშნავს მსგავს ბიფონურ კომბინაციას მონღლოურ ტრადიციულ მუსიკაში: სიტყვა „ჩორო“ აღნიშნავს „ექოს“, „რეზონანსს“ ან „ჰარმონიას“, რაც მონღლოლების აღწერით არის ისეთი ბეგერითი მდგომარეობა, სადაც მრავალი ხმა ერთდროულად უძერს“ (Xu, Xin, 2004: 49).

ბეგერითი მოწყოლობის ამ ორი ნაკრების, მონღლოური „ჩორო“ და ყაზახური სიტიზგის, შედარება უფრო ნათლად ავლენს მათ კავშირს:

მონლოლური (იქვე: 37)	ნარმოთქმა მნიშვნელობა	<u>Holin + Choor Modon + Choor</u> ყელისმიერი ბიფონური ხე ბიფონური
ფყაზახური	ნარმოთქმა მნიშვნელობა	<u>Komekev + Sibizei Kurav + Sibizei</u> ყელისმიერი ბიფონური ლერწამი ბიფონური

ორივე ენაზე დასახელებებში გამოხატულია აზრი „მასალა+ბგერითი მდგომარეობა, სადაც ორივე ადასტურებს რომ სიტყვები „ჩორო“ და „საბიზები“ ძირითადად ერთსა და იგვე ფუნქციას ასრულებს“. მეტიც, კონსტრუციების, ტემპრების, დაკვრის ტექნიკისა და რეპერტუარების გასაოცარი მსგავსება ამ საკრავების ჰომოგნურობასაც კი გულისხმობს. და მაინც ამ ტერმინების გაგება უფრო ფართო სემანტიკურ ველებში უნდა მოხდეს, და არ იყოს კონცენტრირებული მხოლოდ კონკრეტულ საკრავებზე, რათა დაგვეხმაროს როგორც ყაზახური მუსიკის, ისე ჩრდილოეთ სტეპების მუსიკის სახეობების გაგებაში.

კონსტრუქცია და ფორმა

სიბიზგის ტრადიციულად აკეთებდნენ ლერწმისა და იალუნისგან. ძველად სიბიზგის დასამზადებლად ყაზახი მუსიკოსები იყენებდნენ ჭაობების სიახლოვეს, მდინარისა და სტეპებზე წყალმარჩხი დინებების გასწვრივ, მზარდი მაღალი ბალახის ღრუ ვერტიკალურ ღეროებს, ლერწამისა და ველურ ნიახურს. ლეროებს აგროვებენ ბუნებრივად გამოშრობის შემდეგ, ამოარჩევენ გლუვ, სწორ ლეროებს ყლორტების გარეშე. ლეროების ტენიანობა დაბალანსებული უნდა იყოს: ზომაზე მეტად ჩამომჭვნარს უსამოვნო ტემპი აქვს და სწრაფად ტყდება, ზომაზე მეტად ნაზზე ძნელია თვლების ამოკვეთა და ის ადვილად დეფორმირდება. მოკრეფის შემდეგ შესაფერის ლეროებს გასაშრობად ტოვებენ ვენტილირებად ადგილებში (Zhou, Jingyi, 2015) და შემდეგ სასურველ სიგრძეზე ჭრიან (სურ. 1). კარგი სიბიზგი ორად გაჭრილი და გულამოლებული იალუნისგან არის გაკეთებული, თოკებით შეკრული და ცხვრის ტრაქეის მემბრანით დაფარული, რაც მიღს უფრო მყარსა და ჰერმეტიკულს ხდის (სურ. 2). მასალის განვითარების შედეგად ჩვეულებრივი გახდა საკრავის სპილენძისგან, უფანგავი ფოლადისა და პოლივინილქლორიდისგან დამზადება. პოლივინილქლორიდის სალამური, ურბანულ რეგიონებში განსაკუთრებით ხელმისაწვდომი და დაბალფასიანი, დღესდღეობით ძირითადი მასალაა რომელსაც სიბიზგის მუსიკოსები იყენებენ (სურ. 3).

საკრავის დამზადების პროცესში ადამიანის სხეულთან მჭიდროდ არის დაკავშირებული საკრავის სიგრძის გაზომვა და თვლების განლაგება. ყველაზე გავრცელებულია სიგრძის გაზომვა იღლივიდან შუა თითის წვერამდე (ჩვეულებრივ, დაახლოებით 67 სმ), როგორც საკრავის მთლიანი სიგრძე, ლეროს ან 1,8-2სმ. დიამეტრის მქონე პოლივინილქლორიდის სტვირის მოსაჭრელად. თვლები განლაგებულია თითების სიგანის გათვალისწინებით: პირველი თვალი ბოლოვდნ ხუთი თითის სიგანის მანძილზე (სურ. 4), მეორე თვალი პირველიდან ოთხი თითით ზევით, მესამე თვალი მეორედან სამი თითით ზევით და მეოთხე — მესამედან სამი თითით ზევით. თითოეული თვალი თითის სიგანის დიამეტრისაა (დაახლოებით 0,6 სმ), ამრიგად, ამ სივრცეებს შორის თანაფარდობა არის 4: 3: 2: 2. შემდეგ თვლებს ფაქტიზად ოდნავ ოვალურ ფორმას აძლევენ. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი განლაგება შესაძლოა სხეულის ინდივიდუალური აღნაგობის გამო განსხვავდებოდეს და სიზუსტე აკლდეს, საკრავზე დაკვრელი კომპენსაციას გააკეთებს ამბუშურისა (ენის, ტუჩებისა და სახის კუნთების პოზიციით) და ჰერის ნაკადის მორგებით. სოლო შესრულებისთვის განკუთვნილი ასეთი ხალხური საკრავისთვის, რომელიც შესანიშნავად ესადაგება ყაზახი ხალხის მომთაბარე ცხვრების წესს ბერის სიმაღლის სიზუსტეზე უფრო მეტად სასურველია დამზადების სიმარტივე და მასალის ხელმისაწვდომობა.

სიბიზგის შემცნებითი პირთვი

უცხო კულტურაში ემიგრი მუსიკალური პერსპექტივის ძიებისთვის ამ სფეროში ჩართულობასთან ერთად მნიშვნელოვანია შემსრულებლობის გამოცდილება. მენთლ ჰუდის ბი-მუსიკალურობიდან ჯონ ბეილის ინტერ-მუსიკალურობამდე, ეთნომუსიკოლოგია-ში საველე სამუშაოების ყველაზე ეფექტურ საშუალებად მკვლევრების საშემსრულებლო პრაქტიკა რჩება (Xiao, Mei & Li, Ya, 2019). ეთნომუსიკოლოგია-ში არსებობს მუსიკის სხეულით შეგრძების ტრადიცია შემსრულებლობის სწავლის პროცესში, რაც ასევე წარმოადგენს საშემსრულებლო კვლევების არსას, ამის მაგალითა ჯონ ბეილის მიერ ავლანური ბარბითებისა და ტიმ რაისის მიერ ბულგარული გუდასტვირის კვლევა. სიბიზგის შემცნებითი ბირთვი ასევე განმარტებულია სასწავლო პროცესის დროს ამ სფეროში. სტეპებზე ჩემი საექსპედიციო სამუშაოების დროს, რომელიც მოიცავდა სიბიზგისა და სხვა ბიფონურ მუსიკალურ ჟანრებს, მათ შორის მათ შორის მოდერნ ჩოროს, შანკუშის (ყბის არფა) და ჰუმერის, განსაკუთრებულით შთამბეჭდავი იყო იყო ერთი “წარუმატებელი” გამოცდილება. 2019 წლის ზაფხულში პირველად ვსწავლობდი სიბიზგის დაკვრას ძეილზან პალიახბართან, პრესტიულ ყაზახ ოსტატთან სინდიანიდან, რომლის ქებაც დავიმსახურე. მოგვაანებით, მონძლოლ მუსიკოსს ჩინგელს არ მოენონა სიბიზგის დაკვრის ყაზახური სტილი, ძირითადად სადაც ტემპრის საკითხი იყო. მონძლოლური ტემპრი არის ყელისმიერი, დაბალი და გრანულარული, ხოლო ყაზახური — რბილი, სუფთა და მშვიდი. ყაზახების აზრით ყელისმიერი ტემპრი „ხალიან უხეშია“, ხოლო მონძლოლები თვლიან რომ სუფთა ტემპრი „გამოცდილების ნაკლებობის“ შედეგია. მსგავსი ბიფონური ჩასაბერი საკრავების მიუხედავად სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს ტემპრის სხვადასხვანაირი გაგება აქვთ.

სხვა საექსპედიციო გამოცდილებამ ყურადღება ბერით მგრძნობელობაზე მიმაქცევინა. ბეილზანის გარდა, ყაზახეთის ყველა რეგონში კიდევ ერთი ცნობლი მუსიკოსა მიღან ბიეკე. პირველად, როდესაც მიღანს ჩემი მასწავლებლობა შევთავაზე, მან უარი თქვა და მითხრა, რომ ის ისე არ უკრავდა, როგორც ბეილზანი. აღმოჩნდა, რომ მიღანმა თითონ ისწავლა უხეში სქელი ყელისმიერი ტრინით და ბეილზანთან სწავლის 15 წლის განმავლობაში სულ ცდილობდა მიებაძა ბეილზანის მსუბუქი და სუფთა ბერისთვის, რასაც ის მიიჩნევდა „ყველაზე ყაზახურ“ ტემპრში დაბრუნებად, სადაც უფრო მეტი ეთნიკური იდენტობა იპოვა.

ამ ორ ეპიზოდს მივყავართ ბერითი მგრძნობელობის მნიშვნელოვან პერსპექტივამდე, რომლის გასაღებიც არის მუსიკოსების ფოკუსირება ტემპრზე. ჩრდილოეთის სტეპებზე ბიფონური მუსიკის ჟანრების კვლევებს შორის, ტემპრი იყო განმეორებადი თემა. მაგალითად ჩინგელი თავის მუსიკას უყურებს როგორც „ტემპრის ხელოვნებას“. ტუველი მუსიკოსები, მართალია ვერ თანხმდებიან ისეთ კონცეპციებზე, როგორიცაა ბერათორიგი ან დიაპაზონი, მაგრამ ავითარებს ტემპრზე და არა ბერათორიგზე ორიენტირებულ ტემპრულ მგრძნობელობასთან დაკავშირებულ ტექნიკებსა და სტილებს; ეს კი არის მთავარი განსხვავება ტუვის ტრადიციულ და დასავლურ მუსიკას შორის (Levin & Süzükei, 2006). ტემპრის მიმართ ყურადღება დამახასიათებელია მთლიანად ჩრდილოეთის სტეპებისთვის და ბერითი მგრძნობელობა ყოველთვის ფიგურირებდა სიბიზგის მეკვიდრეობითობაში. და მაინც როგორია ბერითი მგრძნობელობა

ბერითი მგრძნობელობის ინტეგრირება საშემსრულებლო პრაქტიკაში

როდესაც ბეილზანთან სწავლა ნულიდან დავიწყე, ის არ იყენებდა საფეხურებრივ პედაგოგურ სისტემას თუ როგორ უნდა ააქციეროს საკრავი, როგორ უნდა დაიწყო ყელის-მიერი სიმღერა და როგორ უნდა გააერთიანო ეს ორი. როდესაც ვეკითხებოდი ეს როგორ უნდა გამეკეთებინა, ის მხოლოდ მიჩვენებდა და მთხოვდა მუსიკის შეგრძებით მესწავლა. მიუხედავად იმისა, რომ თავიდან ძალიან დაბიული ვიყავი, თანდათან მივხვდი, მოსმენით შევიგრძენი როგორ დაიწყო ჩემმა სხეულმა გაერთიანება სიბიზგის ხმოვან

ლანდშაფტში, და რომ ჩემი ხორხისა და პირის ღრუს კუნთები ამოძრავდნენ რათა პეილხ-ანის ტემპრისთვის უკეთესად მიმებაძა. აამ პროცესში ის ხაზს უსვამდა რომ მას უნდა ავყოლოდი, რადგან ჩანანერებიდან სწავლა ვერ შეედრება ასე თვალსაჩინოდ მოსმენას, გააზრებასა და ზუსტ შეწყობას. მეტიც, სხვა ყაზახ მუსიკოსებს შეუძლიათ ადვილად იცნონ ბეილხანისგან მეტკვიდრეობით მიღებული სტილი, ის თავის ბგერით მგრძნობელობას „უსიტყვო ცოდნის“ სახით გადასცემს, რაც პოლანის აზრით ადამიანის გონებაში ინახება და სიტყვებით ძნელად აღინერება, მისი შექნა მხოლოდ გამოცდილებით, პრაქტიკითა და მოქმედებაზე ორიენტირებული უნარების სწავლით შეიძლება (Polanyi, 1959). და მაინც, საკმარისი არ არის მეტკვიდრეობითობის პროცესი ავლენერით უბრალოდ როგორც „უსიტყვო“; აუცილებელია ზოგიერთი ძირითადი სასწავლო ელემენტის განსაზღვრა და დახვენა. ქვემოთ მოცემულია სამი ძირითადი ტექნიკის ფორმულირება. ესენია: ენის პოზიცია, ტუჩის ვაძლატო და ყელის ჰარმონიზაცია. სიბიზგის ზედაპირი თავსდება ორ საჭრელ კიბლს შორის მარცხნიდან ან მარჯვნიდან პირადი ჩეევების შესაბამისად. ზედა ტუჩი მთლიანად ფარავს რგოლის მერე მხარეს და სტვირი ბუნებრივად დახრილა ქვედა მიმართულებით (სურ. 5). კიბლებისა და ენის შეხების ნერტილები რგოლთან შეიძლება ოდნავ დარეგულირდეს (სურ. 6), ეს არის საკვანძო ტექნიკა, რომელიც ტემპრზე ახდენს გავლენას. არსებობს ენის ორი პოზიცია: პირველი, ენა დახხრილია ქვედა მიმართულებით, წვერით ეხება ქვედა კიბლებს, შეუანილით ეჭვინება მილს და არეგულირებს ჰაერის ნაკადს (სურ. 7). ეს პოზიცია ხაზს უსვამს მონლოლურ მოდონ ჩიორში ფართოდ გამოიყენებულ უხეშ ბგერას. მართლაც, მილან ბიეკეც ამ პოზიციას იყენებდა და უჭირდა უხეში ტემპრის კონტროლი, რამაც ის ულერადობის ეთნიკურობის დილემის წინაშე დააყენა. მეორე პოზიციაში ენის წვერი პირდაპირ ეხება საკრავის რგოლს (სურ. 8), რაც ქმნის ყაზახურ სიბიზგისთვის დამახასიათებელ უფრო სუფთა ტემპრს.

ტემპრზე ზემოქმედების გარდა, ენის განსხვავებული პოზიცია გავლენას ერთდროულ ყელისმიერ სიმღერაზეც ახდენს. პირველ პოზიციაში ენა მოთავსებულია სა-სისაგან მოშორებით, ეს მეტ ადგილს ტოვებს ჰაერის ნაკადისთვის და აძლიერდებს რეზონანსს ხორხისა და მეერდის ახლოს. ხოლო მეორე პოზიციაში ენა ძალიან ახლოს არის სასასთან ან ეხება მას, ამით ცოტა ადგილი რჩება ჰაერის ნაკადისთვის და რეზონანსი ცხვირისა და სინუსისკენ ინაცვლებს. ორივე პოზიციის ნიმუშები გაანალიზებულია Adobe Audition CC2018-ით და შედეგები გვიჩვენებს, რომ პირველი პოზიცია უფრო მაღალი სიხშირის ბგერებს ნარმოქმნის (სურ. 9), ვიდრე მეორე პოზიცია (სურ. 10); ამით აისხება პირველის უხეში და მეორეს სუფთა ულერადობა. როგორც უკვე ავღნიშნეთ, უხეში ტემპრის კონტროლი მნიშვნელოვან როლს ასრულებს სიბიზგის ხმოვანების იდენტურობაში.

სიბიზგის კიდევ ერთი ძირითადი ტექნიკა არის ტუჩის ვიბრატო, რომელიც ქმნის თავისებურ „ტირილით თხრობას“, განსაკუთრებით სამღლოვარო რეპერტუარში რომელიც ეძღვნება ალმოსავლეთში ჩინეთში ყაზახი ხალხის მიგრაციის ტრაგიკულ ისტორიას 1930-იან წლებში. მოუხედავად იმისა, რომ ვიბრატო ბევრ საკრავზეა გავრცელებული, საკრავის სიმების გლუვი ვიბრატოსგან განსხვავებით ტუჩის გამიზნულად არათანაბარი ვიბრატო რეპერტუარს მწუხარებს მატებს. კულტურული კონტაციების გარდა, ტუჩის ვიბრატო, ასევე აძლიერებს რამდენიმე ფორმანტას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მის უნიკალურ ტემპრს. აუდიო ნიმუშები ტუჩის ვიბრატოთი და მის გარეშე გაანალიზებულია Praat პროგრამით (სურ. 11). ცვლადების გაკონტროლების მიზნით, ანალიზში არ შესულა ყელისმიერი სიმღერა და ქვედა ორი ხაზი (თითქმის არ ისმის) მიჩნეულია როგორც ძირითადი, მეორე პარციალი პასუხისმგებელია სმენადობის ხარისხზე. ტუჩის ვიბრატოს გარეშე (ნაჩვენებია მარცხნივ), სმენადობის ხარისხი სტაბილური რჩება, მაგრამ ფორმანტები ქაოტურია, რისი შედეგიც არის საკმაოდ უფრული ტემპრი. ტუჩის ვიბრატოსთან ერთად (ნაჩვენებია მარჯვნივ), სმენადობის ხარისხი ვიბრირებს, თუმცა ფორმანტები გასაოცრად

მდგრადია, და ქმნის კარგად გამოხატულ ტემპრულ მახასიათებლებს. აღსანიშნავია, რომ ძირითადი და პირველი პარციალური ნაწილების ტალღოვანი ხაზები ყოველთვის უკუპრო-პორციულად ასახავს ერთმანეთს და როგორც ჩანს ერთმანეთს აკომპენსირებს, რითიც შეიძლება ავხსნათ მოულოდნელად მყარი ფორმანტები. სტეირის ნოტების ჰარმონიზაცია ყელისმიერი სიმძლერით არის სიბიზგის მესამე და უკანს უნდობი ძირითადი ტექნიკა, რომლის ვიზუალიზაცია და გაზომვა, სამუშავაროდ, ძალიან რთულია თანამედროვე ტექნიკური შეზღუდვების გამო. ზოგადად რომ ვთქვათ ყელისმიერი სიმძლერის ბგერის სიმაღლე სტაბილური უნდა იყოს, რათა უზრუნველყოს სტეირის ნოტების სტაბილური საფუძველი. უფრო მეტიც, ჰარმონიზაციის ეფექტის განხორცილებისათვის ყელისმიერი სიმძლერის ტემპრი და დინამიკა საჭიროებს ზუსტ შეწყობას კბილებთან და ტუჩებთან მელიოდის განვითარების პროცესში, რაც სიბიზგის მაღალკალიფიციური მუსიკოსის კრიტერიუმია.

ეპილოგი: სხვადასხვა ქვეჯგუფის მრავალფეროვანი ბეგრითი მგრძნობელობა

სიბიზგის სახელის ეტიმოლოგია, ისევე როგორც მისი კონსტრუქცია და ფორმა, წარმოადგენს მისი “ტემპრზე-ორიენტირებული” ბეგრითი მგრძნობელობის მექანიზმს, რაც ყაზახური სიბიზგის გაგების გასაღებია. და მაინც აღსანიშნავია, რომ მათ ემიკურ შეხედულებაში ყოველთვის შეიძლება არსებობდეს უთქმელი და ფარული აზრი. ეს კვლევა დანწყო ყაზახი ხალხის ბეგრითი მგრძნობელობის უნივერსალური გაგების ძიების მცდელობით. თუმცა, საბოლოოდ ეს მიზანი უშედეგობა, რადგან სიბიზგის დაკვრის მსურველთა სწავლის პროცესი ყოველ ჯერზე ერთმანეთისგან განსხვავებულია. ინტერნეტის სწრაფი განვითარების პირობებში დამწყებთათვის, ხელმისაწვდომია უამრავი ჩანაწერი და ვიდეო მასალა სტრიქონიდან ხმის გამოსაცემად ბეგრითი მგრძნობელობის გარეშე, რაც ეთნოკური და რეგიონალური იდენტობების მატარებელია. ყაზახური ეთნოკური ჯგუფის შეგნით ბეგრითი მგრძნობელობის როლი და მნიშვნელობა იკლებს, რადგან იზრდება მანძილი მეტკვიდრეობითობის ცენტრიდან, ხოლო მეტკვიდრეების ასაკი კი კლებულობს (სურ. 12).

ყაზახი მუსიკოსების ახალგაზრდა თაობა უფრო შემწყნარებელია ტრადიციის დაუმორჩილებლობის მიმართ, რაც ქველი თაობებისთვის მიუღებელია. შესაძლებელია მოხდეს სიბიზგის რეპერტუარის ნამდვილი არსის რეკონატრუქცია იმის მიხედვით თუ როგორ მოყიდებს ფეხს ახალგაზრდა თაობა. სიბიზგის დაკვრის დროს ისინი ისეთ მდგომარეობაში შედიან, სადაც ეხმაურებიან წინაპრების ძახილს ისტორიულ დიალოგში, რამდენადაც ყაზახ ხალხს ეს საკრავი მეგზურობას უწევს ისტორიაში მათი ეთნოკური არსებობის ღირებულების, მნიშვნელობისა და სიმპოლოგის ძიებაში.

გარკვეული თეალსაზრისით, ეს არ არის ტრადიციის დაქინება, რადგან არარეალურია ბეგრითი მგრძნობელიბის შეზღუდვა მხოლოდ ერთი ეპისტემოლოგიის ფარგლებში. ყაზახების ბეგრითი მგრძნობელობა ერთობლივადაა აგებული სხვადასხვა ასაკისა და გამოცდილების ქვეჯგუფების მიერ; ამიტომ სხვადასხვა დიალოგურ კონტექსტში მათ შეიძლება სხვადასხვა აქცენტები დასვან. როგორც ზემოთ ავლინიშნეთ, როდესაც საქმე ეხება ეთნოკურ იდენტობას, ბეგრითი მგრძნობელობის ძირითადი ელემენტი ხდება ტემპრი. რაც შეეხება რეგიონალურ იდენტობას, ადამიანის ბეგრით მგრძნობელობაში მელოდიის განვითარება უფრო დიდ მნიშვნელობას იდენტის. როცა საქმე ახალგაზრდა თაობას ეხება, ბეგრით მგრძნობელობაზე მათ გულწრფელ საზრუნავს ემოციური და ისტორიული არსი წარმოადგენს. ამ ინდივიდუალობის წყალობით, ახსნა-განმარტების მუდმივ პროცესში ბეგრითი მგრძნობელობა ყალიბდება როგორც სხვადასხვა “მე”-ები, რომლებიც სიცოცხლისუნარიანს ხდის მეტკვიდრეობითობასა და განახლებას.